საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 467 2019 წლის 11 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფ/პ ვალერიან ნარიმანიძისათვის აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ ფ/პ ვალერიან ნარიმანიძეს (პ/ნ: №16001022136) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად – 5050 (ხუთი ათას ორმოცდაათი) ლარად, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადასცეს დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ სოყურიანში მდებარე 727.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №71.62.56.680) და ამავე მისამართზე არსებული 740.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე

განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №71.62.56.681).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 5050 (ხუთი ათას ორმოცდაათი) ლარის გადახდა ყოველწლიურად;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ტურისტული ცენტრის (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) კვების ობიექტ(ებ)ს, საგამოფენო დარბაზ(ებ)ს, სველ წერტილ(ებ)ს (მათ შორის, საპირფარეშო(ებ)ს) და არანაკლებ 25-ნომრიან სასტუმროს) შექმნა, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება. ამასთან, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე საცხოვრებელი ფართების მშენებლობა არ უნდა განხორციელდეს;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) ინვესტიციის განხორციელება;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან არა უმეტეს 2 (ორი) თვის ვადაში, ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ტურისტულ ცენტრში არანაკლებ 25 (ოცდახუთი) ადამიანის დასაქმება, არანაკლებ 2 (ორი) წლის ვადით.

3. ფ/პ ვალერიან ნარიმანიძემ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარგებლობაში გადაცემის პირობებს

შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს 4 (ოთხი) თვით და რომელიც მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული სარგებლობაში გადაცემის პირობების შესრულებას (მათ შორის, მათი შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**